ოქმი:**ო31. 3123177001**
თარიღი:**26/06/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N9

ქ. ლანჩხუთი

23. 06. 2023 წელი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კახა კვიტაიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

მოწვეული სტუმარი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით, რათა დროულად იქნას გადაწყვეტილი მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული

წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ შეთანხმების საფუძველზე მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით 3-ერთეული ავტობუსის შეძენის დაფინანსების საავანსო ღირებულება (40%-ი) თანხა (სავარაუდო ღირებულებიდან გამომდინარე) განისაზღვრა 350.0 ათ.ლარი. მიმდინარე წლის გაფორმებულ N156 ხელშეკრულების თანახმად, მუნიციპალიტეტის საჭიროებისთვის შეძენილი იქნება 5 ერთეული ავტობუსი თანხით 1717.5 ათ ლარი. აქედან, 2 ერთეული ავტობუსის შეძენა თანხით - 687.0 ათ.ლარი, დაფინანსდება ფინანსთა სამინისტროს მიერ, ხოლო 3 ერთეულის შეძენას თანხით - 1030.5 ათ.ლარი, განახორციელებს მუნიციპალიტეტი, რომლის 40 % - 412.2 ათ.ლარი ავანსის სახით მიმდნარე წელს უნდა ჩაერიცხოს მომწოდებელს.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ჩახვაძე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების მუხლი უნდა გაიზარდოს 63.0 ათ.ლარით, ხოლო დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით, შემოსავლის ნაწილში გაიზარდოს სხვა შემოსავლები 63.0 ათ. ლარით სანებართვო მოსაკრებლის გეგმის ზრდის ხარზე.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს ფრაქციამ ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ მხარი დაუჭირა ინიციატივას, მაგრამ ამასთან, დაინტერესდა- აღნიშნული ავტობუსების გარდა თუ იქნება შეძენილი მიკროავტობუსები, რადგან თავის დროზე მუნიციპალიტეტის მერმა ამის შესახებ ისაუბრა.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა განმრატა, რომ შეძენილი იქნება მხოლოდ 5 ერთეული ავტობუსი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N36 (23.06.2023).

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

23 ივნისი 2023 წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ზესიკ ტაბიძე	11:06	
2	ემზარ თევდორაძე	—	
3	ვერიკო კვირკველია	—	
4	გიორგი ჩახვაძე	11:07	
5	გიორგი ხელაძე	11:55	
6	ალექსანდრე მახათაძე	11:27	
7	ზაზა წულაძე	11:50	
8	კარლო კვიტაიშვილი	11:55	
9	გიორგი იმნაიშვილი	11:55	
10	ია მოქია	11:55	
11	კახაბერ ასკურავა	—	
12	მაკა მშვიდობაძე	12:00	
13	ვლადიმერ წანაძე	11:06	
14	კარლო წილოსანი	11:59	
15	ლოლიტა ურუშაძე	ქვეორომ	
16	ნინო მშვიდობაძე	11:58	
17	გოგი მორჩილაძე	—	
18	სპარტაკ კვაჭაძე	11:59	
19	გიორგი გოგუაძე	11:05	
20	გოჩა ჯანაშია	11:55	
21	ელისო ჭიჭინაძე	—	
22	რევაზ კვერენჩხილაძე	11:58	
23	კახა თედორაძე	11:58	

24	დარეჯან ბურჭულაძე	11	
25	ირმა მგელაძე	11 45	
26	გივი ციწცაძე	11 46	
27	ჯუმბერ ბლაგიძე	11	